CSI CSI

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი
Civil Society Institute

# საქველმოქმედო ორგანიზაციებზე გაცემული შემოწირულობის გამოქვითვა მოგების გადასახადიდან

## გზამკვლევი

USAID | GEORGIA
FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST · WEST MANAGEMENT INSTITUTE

Policy, Advocacy, and Civil Society Development in Georgia (G-PAC)
საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში

პროექტი ხორციელდება აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) პროგრამის - „საქართველოში საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების“ (G-PAC) ფარგლებში. ამ პროგრამის განხორციელება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულისხმიერი მხარდაჭერის შედეგად, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით.

თბილისი 2013

# საქველმოქმედო ორგანიზაციებზე გაცემული შემოწირულობის გამოქვითვა მოგების გადასახადიდან

## გზამკვლევი

წინამდებარე გზამკვლევი მოამზადა ,,სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტმა“ „აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტისა”და მის მიერ მართული პროექტის – „საქართველოში საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების“ (G-PAC) ფარგლებში.

დოკუმენტი მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს, საქველმოქმედო ორგანიზაციებს, საწარმოებს და მეწარმე ფიზიკურ პირებს, ეფექტურად გამოიყენონ საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ის რეგულაციები, რომლებიც ხელს უწყობს საქველმოქმედო ორგანიზაციების საქმიანობას და წაახალისებს საწარმოებს საქველმოქმედო ორგანიზაციებისთვის შემოწირულობის გაცემის შემთხვევაში. დოკუმენტის მომზადებას წინ უძღოდა „სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტისა“ და „არასამეწარმეო სამართლის საერთაშორისო ცენტრის“ (ICNL) ექსპერტთა შეხვედრები არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების წარმომადგენლებთან. შეხვედრებზე გამოვლენილ პრობლემურ საკითხებზე მზადდებოდა ანალიზისა და პოლიტიკის სხვადასხვა დოკუმენტები, რომლებიც განხილულ იქნა შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან და დარგის სპეციალისტებთან. ასევე, გამოვლინდა რამდენიმე პრაქტიკული საკითხი, რომელთა საკანონმდებლო რეგულირების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება, მნიშვნელოვნად გაუადვილებს საქმიანობას საქართველოში მოქმედ საზოგადოებრივ და საქველმოქმედო ორგანიზაციებს.

**ავტორები:**

არჩილ ცერცვაძე

გელა ჩარკვიანი

ირაკლი მხეიძე

**აკადემიური რედაქტირება:**

მამუკა ბარათაშვილი

**რედაქტორი:**

ირინა კალმახელიძე–ჩარკვიანი

**თბილისი 2013**

## სარჩევი:

1 ზოგადი ნაწილი ..... 5

2.საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი ..... 6

2.1 საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მინიჭება და ჩამორთმევა ..... 9

4.საქველმოქმედო სტატუსთან დაკავშირებული საგადასახადო შეღავათები ..... 12

4.1 საქველმოქმედო ორგანიზაციებზე გაცემული თანხის გამოქვითვა ..... 13

4.2 საქველმოქმედო ორგანიზაციების გათავისუფლება მოგების გადასახადისგან ..... 19

4.3 საქველმოქმედო ორგანიზაციების მიერ ფიზიკურ პირებზე გაცემული ქონების განთავისუფლება საშემოსავლო გადასახადისგან ..... 20

5. საქველმოქმედო ორგანიზაციების ჩამონათვალი და ინფორმაცია მათი საქმიანობის შესახებ ..... 22

## 1 ზოგადი ნაწილი

ჩვენს ქვეყანაში მრავალი ფიზიკური და იურიდიული პირი მონაწილეობს საქველმოქმედო საქმიანობაში. საქართველოს კანონმდებლობით, საქველმოქმედო საქმიანობისათვის სავალდებულო არ არის საქველმოქმედო ორგანიზაციის დაფუძნება ან სხვა სპეციალური პროცედურის დაცვა. ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს უფლება აქვს, ეწეოდეს ქველმოქმედებას. თუმცა, იმისათვის, რომ ქველმოქმედმა ისარგებლოს სპეციალური საგადასახადო შეღავათებით, რომლებსაც საქველმოქმედო საქმიანობასთან მიმართებით საგადასახადო კოდექსი აწესებს, საჭიროა, დაფუძნდეს ორგანიზაცია და მას მიენიჭოს საქველმოქმედო სტატუსი.[1]

დღეისათვის საქართველოში ორგანიზაციათა რაოდენობა, რომლებიც საქველმოქმედო საქმიანობას ეწევა, ბევრად მეტია იმ ორგანიზათა რიცხვზე, რომლებსაც საქველმოქმედო სტატუსი აქვთ მინიჭებული. მიუხედავად ამისა, ორგანიზაციათა უმრავლესობა და ფიზიკური პირების აბსოლუტური ნაწილი ქველმოქმედების სანაცვლოდ ვერანაირ შეღავათს ვერ ღებულობს. ამის მიზეზი ორგანიზაციების შემთხვევაში არის ის, რომ მათ არა აქვთ მინიჭებული შესაბამისი სტატუსი, ხოლო ფიზიკური პირების ქველმოქმედებაში მონაწილეობის მიზნით, საგადასახადო კოდექსი მათთვის არ განსაზღვრავს დამატებით წამახალისებელ მექანიზმებს. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ მართალია, ქველმოქმედება თავისი არსით, უანგარო აქტია, ქველმოქმედი მოქმედებს მისი პირადი მორალისა და ჰუმანური ღირებულებების შესაბამისად და სანაცვლოდ არ მოელის რაიმე მატერიალურ სარგებელს, მაგრამ მსოფლიო მასშტაბით არსებობს სხვადასხვა სახის წამახალისებელი მექანიზმები, რომლებიც დამატებით სტიმულს სძენენ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რათა აქტიურად ჩაერთონ ქველმოქმედებაში. ერთ–ერთი გზა ასეთი სტიმულირებისთვის არის ქველმოქმედი სუბიექტებისთვის საგადასახადო შეღავათების დაწესება.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი ასევე შეიცავს რამდენიმე ნორმას, რომლებიც აწესებს შეღავათსა და წამახალისებელ მექანიზმებს უშუალოდ საქველმოქმედო საქმიანობისთვის. აღნიშნული სპეციალური შეღავათებით სარგებლობა შეუძლებელია, თუ ქველმოქმედების სუბიექტს ან ობიექტს არ წარმოადგენს საქველმოქმედო ორგანიზაცია.

---

[1] ი.მხეიძე, გ. ჩარკვიანი, ვ. ნაცვლიშვილი არასამეწარმეო იურიდიული პირების დაბეგვრის თავისებურებები საქართველოში, თბილისი 2012,გვ. 16

## 2.საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი

ზოგადად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი იურიდიულ პირებს ორ დიდ ნაწილად ყოფს: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ და სამეწარმეო იურიდიულ პირებად.[2] თავის მხრივ სამეწარმეო იურიდიული პირების რამდენიმე ქვესახეობა არსებობს, თუმცა ეს ჩვენი ინტერესის საგანი არ არის. სამოქალაქო კოდექსის მიხედვით არასამეწარმეო იურიდიული პირის მხოლოდ ერთი ზოგადი სახეობა არსებობს: ეს არის „არასამეწარმეო, (არაკომერციული) იურიდიული პირი"(ა.ა.ი.პ). სამოქალაქო კანონმდებლობა არსად არ ახსენებს საქველმოქმედო ორგანიზაციებს. საქველმოქმედო ორგანიზაცია არ არის ცალკე იურიდიული პირის სახე. საქველმოქმედო ორგანიზაცია არის საგადასახადო კოდექსის მიხედვით მინიჭებული სპეციალური სტატუსი, რაც გულისხმობს განსხვავებული საგადასახადო რეჟიმის გავრცელებას ამ სტატუსის მატარებელ იურიდიულ პირებზე. შესაბამისად, საქველმოქმედო ორგანიზაციად მიიჩნევა ჩვეულებრივი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფორმით დაფუძნებული სუბიექტი, რომელსაც საგადასახადო ორგანოს მიერ მინიჭებული აქვს საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი და სარგებლობს ამ სტატუსთან დაკავშირებული შეღავათებით.

საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მინიჭების საკითხს აწესრიგებს საქართველოს საგადასახადო კოდექსი, სწორედ ის გვაძლევს იმ სუბიექტთა ჩამონათვალს, რომელსაც შეიძლება მიენიჭოს საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი. საინტერესოა საკითხი, თუ რომელი ორგანიზაციულ–სამართლებრივი ფორმის მქონე იურიდიულ პირებს შეუძლიათ მოიპოვონ საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი? საგადასახადო კოდექსის 32–ე მუხლი, რომელიც საუბრობს საქველმოქმედო ორგანიზაციების განმარტებაზე, მიუთითებს, რომ საქველმოქმედო ორგანიზაციად ითვლება ორგანიზაცია, რომელსაც ამ მუხლის შესაბამისად მინიჭებული აქვს საქველმოქმედოს სტატუსი.[3] ანუ, კოდექსის თანახმად, საქველმოქმედო ორგანიზაცია არის ორგანიზაცია. თავის მხრივ, ორგანიზაციას, საგადასახადო კოდექსის 30–ე მუხლის მიხედვით რამდენიმე ქვეტიპი აქვს, ესენია:

- არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები;
- უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი ორგანიზაციების საქართველოში არსებული ფილიალები და სხვა ანალოგიური ქვედანაყოფები;
- საბიუჯეტო ორგანიზაციები;
- საჯარო სამართლის იურიდიული პირები;

[2]საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 24, მე–2 ნაწილი
[3]საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 32, 1–ლი ნაწილი

- კორპორაციები;
- დაწესებულებები;
- საერთაშორისო (სახელმწიფოთაშორისი, სამთავრობათაშორისო, დიპლომატიური) ორგანიზაციები – საერთაშორისო სამართლით რეგულირებული ორგანიზაციები, დიპლომატიური წარმომადგენლობები და საკონსულო დაწესებულებები, უცხოური არასამეწარმეო ორგანიზაციები.

32–ე მუხლის მიხედვით, მხოლოდ ზემოთ არსებულ ჩამონათვალში მოხვედრილ ორგანიზაციებს შეუძლიათ მოიპოვონ საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი, თუმცა დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად საქველომოქმედოს სტატუსი, როგორც წესი ენიჭება არასამეწარმეო იურიდიულ პირებს და არა მაგალითად საბიუჯეტო ორგანიზაციებს. თავის მხრივ, კოდექსი ერთმანეთისგან გამოყოფს, ორ ძირეულ ტერმინს: საწარმო და ორგანიზაცია. კოდექსის მიზნებისთვის საწარმოდ მიიჩნევა ყველა ის სუბიექტი რომელიც ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას.[4] ორგანიზაციად, კოდექსის მიზნებისთვის, მიიჩნევა ისეთი სუბიექტები, რომლებიც არ ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას. ზემოთ მოყვანილ ჩამონათვალშიც სწორედ ისეთი ორგანიზაციები შედის, რომელიც არ არის ეკონომიკური საქმიანობის წარმოების მიზნით დაფუძნებული. თუმცა რამდენიმე მათგანი მაინც იწვევს გაუგებრობას. უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილ ორგანიზაციაში სავარაუდოდ, უნდა იგულისხმებოდეს ნებისმიერი ისეთი სუბიექტი, რომელიც უცხო ქვეყნის მიერ შექმნილია, როგორც არაეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტი. ორგანიზაციის ერთ-ერთი თუ ძირითადი არა მთავარი მახასიათებელი არის ის რომ ის არ არის შექმნილი მოგების მიღების მიძნით და არ ანაწილებს მოგებას. (საამისოდ, ყველა ქვეყანას, სხვადასხვანაირი საკანონმდებლო მიდგომა შეიძლება ჰქონდეს, მთავარია რომ სუბიექტს ამოძრავებდეს არაეკონომიკური, საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობის განხორციელების მიზნები). ანუ უცხო ქვეყნის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალი საქართველოში, ასევე მიიჩნევა ორგანიზაციად კოდექსის მიზნებისთვის. უცხოურ ორგანიზაციად (არარეზიდენტად) ითვლებ აორგანიზაცია, რომელიც საგადასახადო კოდექსის მიხედვით, არ არის საქართველოს ორგანიზაცია, ანუ რომლის არც საქმიანობის და არც მართვის ადგილი არ არის საქართველოში.[5]

[4] იქვე, მუხლი 21, 1–ლი ნაწილი

[5] ნადარაია, როგავა, რუხაძე, ბოლქვაძე, საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარები, წიგნი პირველი, თბილისი, 2012, გვ. 243

საბიუჯეტო ორგანიზაციების განმარტებას 31–ე მუხლი გვაძლევს. საჯარო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნების წესები და რეგულირება ცალკეა განსაზღვრული კანონით „საჯარო სამართლის იურიდიული პირის“ შესახებ.

რაც შეეხება კორპორაციებს, რთულია გავიგოთ, აქ რას გულისხმობს კანონი. კორპორაცია, როგორც იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმა, არ არის გათვალისწინებული საქართველოს კანონმდებლობით. აქ, სავარაუდოდ, კანონმდებელი გულისხმობს ისეთ არასამეწარმეო ორგანიზაციებს, რომლებიც კორპორაციულად არიან ორგანიზებულნი. იგულისხმება სწორედ არასამეწარმეო იურიდიული პირების ისკატეგორია, რომელთაც მართვის ორგანოები და მენეჯმენტი კორპორაციულად აქვთ დადგენილი.

დაწესებულება გულისხმობს სახელმწიფო დაწესებულებებს, აგრეთვე, საბიუჯეტო ორგანიზაციებსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს. საერთაშორისო ორგანიზაციებს განეკუთვნებიან საერთაშორისო სამართლით რეგულირებული ორგანიზაციები, საელჩოები, საკონსულოები, წარმომადგენლობები, უცხოური არასამეწარმეო ორგანიზაციები.

შესაბამისად, საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი შეიძლება მოიპოვოს როგორც კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა, ასევე სახელმწიფო დაწესებულებამ ან საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა და საერთაშორისო ორგანიზაციამ ან მისმა ფილიალმა. მთავარი არის ის, რომ მისი ძირითადი მიზანი იყოს არაეკონომიკური საქმიანობის განხორციელება.მართალია საგადასახადო კოდექსის პირდაპირი განმარტებით ეს ასე ივარაუდება, თუმცა პრაქტიკაში არ ხდება სახელმწიფო ორგანიზაციისთვის საქველმოქმედო სტატუსის მინიჭება, მისი მიზნებიდან გამომდინარე.

კოდექსი ითვალისწინებს საგადასახადო შეღავათების გავრცელებას მხოლოდ საქართველოს საქველმოქმედო ორგანიზაციებზე. საქართველოს საქველმოქმედო ორგანიზაციად კი ჩაითვლება ის, რომელთა საქმიანობის ან მართვის ადგილი საქართველოშია.[6] ორგანიზაციის საქმიანობის ადგილად ითვლება ორგანიზაციის სახელმწიფო რეგისტრაციის ადგილი, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში – იურიდიული მისამართი, რომელიც მითითებულია ორგანიზაციის სადამფუძნებლო დოკუმენტში (წესდებაში, დამფუძნებელთა/წევრთა შეთანხმებაში, დებულებაში). ორგანიზაციის მართვის ადგილად ითვლება ორგანიზაციის ფაქტობრივი მართვის ადგილი, ანუ ადგილი, სადაც ორგანიზაციის სადამფუძნებლო დოკუმენტების (წესდების, დამფუძნებელთა/წევრთა შეთანხმების, დებულების) შესაბამისად

[6]საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 30, მე–3 ნაწილი

ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანო (მმართველობის ორგანო) ასრულებს მმართველობით ფუნქციას.[7]

## 2.1 საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მინიჭება და ჩამორთმევა

საქართველოში იურიდიული პირისთვის საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მინიჭებას, გაუქმებასა და ჩამორთმევას, შესაბამისი საგადასახადო ორგანოს წარდგინებით, ახორციელებს შემოსავლების სამსახურის უფროსი საქართველოს ფინანსთა მინისტრთან შეთანხმებით.[8]

საქველმოქმედო სტატუსი შეიძლება მიენიჭოს ორგანიზაციას, რომელიც:[9]

- შექმნილია საქველმოქმედო საქმიანობის განსახორციელებლად;
- რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- აქვს საქველმოქმედო საქმიანობის არანაკლებ ერთი წლის გამოცდილება;
- აკმაყოფილებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 32–ე მუხლით დადგენილ სხვა მოთხოვნებს.

საქველმოქმედო სტატუსის მინიჭება ხდება ორგანიზაციის წერილობითი განცხადების საფუძველზე. განცხადებაში უნდა მიეთითოს ორგანიზაციის შემდეგი მონაცემები:[10]

- სახელწოდება;
- ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა;
- ძირითადი მიზნები;
- ბოლო წლის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები;
- ხელმძღვანელი ორგანოს და ფილიალების მისამართები.

განცხადებას უნდა დაერთოს:[11]

- ორგანიზაციის წესდების ასლი;
- სახელმწიფო ან/და საგადასახადო რეგისტრაციის მოწმობის ასლი;
- ბოლო წლის საქმიანობის ანგარიში, რომელიც უნდა შეიცავდეს საქმიანობის (პროექტების, მომსახურების) აღწერას;
- დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ დადასტურებული ბოლო წლის ფინანსური დოკუმენტები (ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიში).

---

[7]ნადარაია, როგავა, რუხაძე, ბოლქვაძე, საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარები, წიგნი პირველი, თბილისი, 2012, გვ. 243

[8]საქართველოს საგადასახადო კოდექსის 32–ე მუხლის მე–4 ნაწილი

[9]იქვე, 32–ე მუხლის მე–2 ნაწილი

[10]საგადასახადო კოდექსის 32–ემუხლის მე–5 ნაწილი

[11]იქვე, 32–ე მუხლის მე–6 ნაწილი

ორგანიზაციის მიერ საქველმოქმედო სტატუსის მინიჭების თაობაზე განცხადებით მიმართვის შემთხვევაში, შემოსავლების სამსახურის უფროსი ერთი თვის ვადაში იღებს მოტივირებულ გადაწყვეტილებას. თუ ამ ვადაში გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული, სტატუსი მინიჭებულად ჩაითვლება.[12]

სტატუსი ენიჭება უვადოდ და ძალაში შედის მინიჭებისთანავე. ორგანიზაციას, რომელსაც მიენიჭება საქველმოქმედო სტატუსი, გადაეცემა სტატუსის დამადასტურებელი მოწმობა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იმისთვის, რომ ორგანიზაციას მიენიჭოს სტატუსი, საჭიროა, რეგისტრირებული იყოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ანუ რეგისტრირებული იყოს იმ ფორმით, რა სახის იურიდიული პირებიც განიხილებიან ''ორგანიზაციად'' საგადასახადო კოდექსის თანახმად, რომელზეც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

## 3.საქველმოქმედო საქმიანობის შინაარსი

საქველმოქმედო საქმიანობის წარმოების მიზანი ზოგადად, შესაძლებელია მითითებული იყოს ორგანიზაციის სადამფუძნებლო დოკუმენტში, წესდებაში, დებულებაში და ა.შ. თუმცა საქველმოქმედო სტატუსის პრეტენდენტ ორგანიზაციას სადამფუძნებლო დოკუმენტში საქველმოქმედო საქმიანობის მიზანთან ერთად, შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული მიზანიც. მთავარია, რომ ორგანიზაციის დაფუძნებისა და საქმიანობის მინიმუმ ერთ–ერთ მიზანს წარმოადგენდეს საქველმოქმედო საქმიანობა. განვიხილოთ საქველმოქმედო საქმიანობის დეფინიცია საგადასახადო კოდექსის მიხედვით:
ს.ს.კ.–ის მე–10 მუხლი განსაზღვრავს იმ საქმიანობათა ჩამონათვალს, რომელთა განხორციელება საქველმოქმედო სფეროს მიეკუთვნება. აღნიშნული მუხლის თანახმად, საქველმოქმედო საქმიანობად ითვლება:

I) ***დახმარების უშუალოდ ან მესამე პირის მეშვეობით, ნებაყოფლობით და უანგაროდ გაწევა იმ პირებისათვის, რომლებიც ამ დახმარებას საჭიროებენ, მათ შორის:***[13]

- იმ ფიზიკური პირებისათვის, რომლებიც საჭიროებენ სოციალურ დაცვას, სამედიცინო დახმარებას, აგრეთვე ხელმოკლე ფიზიკური პირებისათვის, მათ შორის: ინვალიდებისათვის, მოხუცებულებისათვის, ობოლი ბავშვებისათვის, მარჩენალდაკარგულებისათვის, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის

[12]იქვე, 32–ე მუხლის მე–7 ნაწილი
[13]იქვე, მე–10 მუხლის პირველი ნაწილის ,,ა'' ქვეპუნქტი

მქონე პირებისათვის და იძულებით გადაადგილებული პირებისათვის – ავადმყოფებისათვის, მრავალშვილიანი ოჯახებისა და მათი წევრებისათვის, ომების, შეიარაღებული კონფლიქტების, ავარიების, სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, ეპიდემიების ანდა ეპიზოოტიების შედეგად დაზარალებულებისათვის;

- ბავშვთა, მოხუცებულთა და ინვალიდთა მომვლელი ან მომსახურე ორგანიზაციებისათვის, მათ შორის: ბავშვთა სახლებისათვის, სკოლა-ინტერნატებისათვის, ინტერნატებისათვის, სკოლამდელი და სხვა საბავშვო დაწესებულებებისათვის, მოხუცებულთა სახლებისათვის, უფასო სასადილოებისათვის, სამედიცინო დაწესებულებებისათვის, სარეაბილიტაციო ცენტრებისათვის და ა.შ.;
- საქველმოქმედო ორგანიზაციებისათვის;
- რელიგიური ორგანიზაციებისათვის;
- განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ფიზიკური პირებისათვის – მათი ტალანტის განვითარების მიზნით;
- პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებისათვის – მათში მოთავსებულ პირთა მოვლის ან სამედიცინო მომსახურების პირობების გაუმჯობესების მიზნით;
- იმ პირებისათვის, რომლებიც ახორციელებენ საქმიანობას შემდეგ სფეროებში: ადამიანის უფლებების დაცვა, გარემოს დაცვა, დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება, კულტურა, განათლება, მეცნიერება, ჯანმრთელობის დაცვა, სოციალური დაცვა, ფიზიკური აღზრდა, სამოყვარულო სპორტი და ხელოვნება.

***II) ორგანიზაციების მიერ საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმიანობის განხორციელება შემდეგ სფეროებში:[14]***

- ადამიანის უფლებების დაცვა;
- გარემოს დაცვა;
- დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება;
- კულტურა;
- განათლება;
- მეცნიერება;
- ჯანმრთელობის დაცვა;
- სოციალური დაცვა;

[14]იქვე, მე–10 მუხლის პირველი ნაწილის ,,ბ'' ქვეპუნქტი

- ფიზიკური აღზრდა და სამოყვარულო სპორტი;
- ხელოვნება.

ზემოთ ჩამოთვლილი საქმიანობა ქველმოქმედებას არ მიეკუთვნება იმ შემთხვევებში თუ:[15]

- იგი ხორციელდება სახელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა მიერ;
- განხორციელებულია საწარმოს, პოლიტიკური პარტიის ან არჩევნებში მონაწილე სხვა საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად;
- იგი ხორციელდება ფიზიკური პირის მიერ საკუთარი ნათესავებისათვის ან იურიდიული პირის მიერ თავისი მმართველობის ორგანოთა ხელმძღვანელებისათვის და მათი ნათესავებისათვის;
- ის „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონით სპონსორობად ითვლება.

როგორც ზემოთ მოყვანილი ჩამონათვალიდან ჩანს, რომ საგადასახადო კოდექსი საქველმოქმედოდ საქმიანობათა ფართო სპექტრს განიხილავს. იმ ორგანიზაციათა უმრავლესობის საქმიანობა, რომელთა მიზანი საზოგადოებისათვის სასარგებლო მიზნების განხორციელებაა, საგადასახადო კოდექსის მე–10 მუხლით განსაზღვრული დეფინიციის ჩარჩოებში ხვდება.

აქვე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საგადასახადო კოდექსით, საქმიანობის საქველმოქმედოდ დასაკვალიფიცირებლად, აუცილებელი არ არის ორგანიზაციას მინიჭებული ჰქონდეს საქველმოქმედო სტატუსი. ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციას უფლება აქვს, განახორციელოს საქველმოქმედო საქმიანობა. იმ შემთხვევაში, თუ საქმიანობა აკმაყოფილებს საგადასახადო კოდექსის მე–10 მუხლის მოთხოვნებს, იგი არ განიხილება ეკონომიკურ საქმიანობად და მიიჩნევა საქველმოქმედოდ.[16]

## 4.საქველმოქმედო სტატუსთან დაკავშირებული საგადასახადო შეღავათები

საგადასახადო კოდექსი საქველმოქმედო ორგანიზაციების საქმიანობის წამახალისებელ რამდენიმე შეღავათს ითვალისწინებს, თუმცა ყველა მათგანი ჩვენი ყურადღების საგანი არ არის. გზამკვლევის მიზანი იმ საგადასახადო შეღავათების იდენტიფიცირებაა, რომელიც ხელს უწყობს საწარმოებს საქველმოქმედო ორგანიზაციების დახმარებაში. ჩვენ უნდა განვიხილოთ საგადასახადო კოდექსის 3 ცენტრალური მუხლი, რომელიც ამ ორ სუბიექტს შორის ურთიერთობისას

[15]იქვე, მე–10 მუხლის მე–2 ნაწილი
[16]იქვე, მე–9 მუხლის მე–2 ნაწილის ,,ბ'' ქვეპუნქტი.

ითვალისწინებს საგადასახადო შეღავათებს.

## 4.1 საქველმოქმედო ორგანიზაციებზე გაცემული თანხის გამოქვითვა

საგადასახადო კოდექსის 117–ე მუხლის 1–ლი ნაწილის თანახმად: „ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვითება საწარმოს/მეწარმე ფიზიკური პირის მიერ საქველმოქმედო ორგანიზაციებზე გაცემული თანხა, აგრეთვე ერთობლივ შემოსავალში ასახული უსასყიდლოდ მიწოდებული საქონლის (გარდა უძრავი ქონებისა) /გაწეული მომსახურების საბაზრო ფასი, მაგრამ არა უმეტეს ერთობლივი შემოსავლიდან ამ კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების (ამ მუხლით გათვალისწინებული გამოქვითვის გარეშე) შემდეგ დარჩენილი თანხის 10 პროცენტისა.“

ეს მუხლი საკმაოდ მნიშვნელოვან შეღავათს აწესებს საწარმოსთვის. საგადასახადო კოდექსით დადგენილი ზოგადი პრინციპის მიხედვით დასაბეგრი მოგების განსაზღვრისას, ერთობლივი შემოსავლიდან უნდა გამოიქვითოს მხოლოდ ის ხარჯი, რაც დაკავშირებულია ამ შემოსავლის მიღებასთან. თუმცა კოდექსის ეს მუხლი, გამონაკლისის სახით ადგენს, რომ საწარმოს შეუძლია ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითოს ის ხარჯიც, რომელიც არ არის დაკავშირებული შემოსავლის მიღებასთან და გადაცემული იქნა საქველმოქმედო ორგანიზაციებისთვის, რითაც მას შეუძლია შეიმციროს მოგების გადასახადი. 2013 წლის 20 აგვისტოს ძალაში შევიდა საგადასახადო კოდექსის 117–ე მუხლის ახალი რედაქცია. ძველი რედაქციის მიხედვით შესაძლებელი იყო მხოლოდ საწარმოს მიერ მიერ საქველმოქმედო ორგანიზაციისთვის გადაცემული თანხის გამოქვითვა. ამავე დროს ძველი რედაქციის მოქმედების პირობებში, იმ შემთხვევაში თუ კი საწარმო საქველმოქმედო ორგანიზაციას უსასყიდლოდა გადასცემდა ქონებას ან გაუწევდა მომსახურებას, ეს მას ეთვლებოდა მიწოდებად[17], შესაბამისად საწარმო ვალდებული იყო უსასყიდლოდ გადაცემული ქონების ან უსასყიდლოდ გაწეული მომსახურების საბაზრო ღირებულება აეყვანა ერთობლივ შემოსავალში და დაებეგრა მოგების გადასახადით. ანუ, ძველი რედაქციის მოქმედების პირობებში საწარმოს მიერ საქველმოქმედო ორგანიზაციისთვის უსასყიდლოდ ქონების გადაცემა ან უსასყიდლოდ მომსახურების გაწევა ითვლებოდა ჩვეულებრივ ეკონომიკურ საქმიანობად და საგადასახადო კოდექსის 102–ე მუხლის 1–ლი ნაწილის „ა“ პუნქტის მიხედვით ივარაუდებოდა რომ მან მიიღო შემოსავალი რაც უნდა ასახულიყო ერთობლივ შემოსავალში და დაბეგრილიყო. იმ შემთხვევაში თუ კი ერთობლივ შემოსავალში ასახულ საბაზრო ფასსა და უფასოდ გადაცემული ქონების ან გაწეული

[17]საგადასახადო კოდექსის, მე–16 მუხლის 1–ლი ნაწილი

მომსახურების ხარჯს შორის წარმოიქმნებოდა ფასთა სხვაობა იგი იბეგრებოდა მოგების გადასახადით.
ახალი რედაქციის მიხედვით 2 მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა. პირველი ცვლილება არის ის, რომ საწარმოს შესაძლებლობა მიეცა გამოქვითოს არა მარტო თანხა, არამედ უსასყიდლოდ გადაცემული ქონება (გარდა უძრავი ქონებისა) და უსასყიდლოდ გაწეული მომსახურება. მეორე მნიშვნელოვანი ცვლილება, გულისხმობს გამოქვითვის პროცედურას. კერძოდ კი, საწარმო, მას შემდეგ რაც საქველმოქმედო ორგანიზაციას გადასცემს უსასყიდლო ქონებას ან უსასყიდლოდ გაუწევს მომსახურებას, რაც მას ჩვეულებრივად ეთვლება მიწოდებად (კოდექსის მე–16 მუხლის 1–ლი ნაწილის მიხედვით) და ვალდებული არის რომ 102–ე მუხლის 1–ლი ნაწილის „ა“ პუნქტის მიხედვით გადაცემული ქონების ან გაწეული მომსახურების შესაბამისი საბაზრო ღირებულება აიყვანოს ერთობლივ შემოსავალში. ამის შემდეგ კი საწარმოს შეუძლია ეს საბაზრო ფასი მთლიანად გამოქვითოს ერთობლივი შემოსავლებიდან. ორივე შემთხვევაში ქონების უფასოდ გადაცემა და მომსახურების უფასოდ გაწევა მიწოდებად მიიჩნევა და ერთობლივ შემოსავალში აისახება, მაგრამ განსხვავება იმაში მდგომარეობს რომ ახალი რედაქციის მოქმედების პირობებში ხარჯების სრულად გამოქვითვა არის შესაძლებელი და თუ წარმოიქმნება ფასთა სხვაობა საბაზრო ღრებულებასა და ხარჯს შორის, იგი აღარ იბეგრება მოგების გადასახადით 117- მუხლით გასთვალისწინებული შეზღუდვების გათვალისწიმებით, არა უმეტეს ერთობლივი შემოსავლიდან ამ კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების (ამ მუხლით გათვალისწინებული გამოქვითვის გარეშე) შემდეგ დარჩენილი თანხის 10 პროცენტისა.“

**მაგალითი:** საწარმო საქველმოქმედო ორგანიზაციას უსასყიდლოდ გადასცემს კომპიუტერულ აღჭურვილობას, რომლის საბაზრო ღირებულება არის 1000 ლარი. საწარმო ამას აღრიცხავს როგორც მიწოდებას და ერთობლივ შემოსავალში დააფიქსირებს 1000 ლარს, როგორც შემოსავალს ეკონომიკური საქმიანობიდან. ამავე დროს 117–ე მუხლის ახალი რედაქციის მიხედვით საწარმოს შეუძლია ეს 1000 ლარი სრულად გამოქვითოს, როგორც ხარჯი, მიუხედავად იმისა თუ რა ხარჯი გაწია თავის დროზე ამ კომპიუტერების შეძენისას. შედეგად წარმოქმნილი ფასთა სხვაობა არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.
ძველი რედაქციის შემთხვევაში, ასეთ დროს, საწარმო 1000 ლარს დააფიქსირებდა როგორც შემოსავალს, მაგრამ თუ კი ამ კომპიუტერების შესაძენად გაწეული ხარჯი იყო უფრო ნაკლები, მაგალითად 800 ლარი, მაშინ საწარმოს მოუწევდა ფასთა სხვაობის ანუ 200 ლარის დაბეგვრა მოგების გადასახადით.

მთავარი ღირსება ახალი რედაქციისა მდგომარეობს იმაში რომ საწარმოს მოუხსნას საგადასახადო ბარიერი და არ დაბეგროს უფასოდ გადაცემული ქონების ან გაწეული მომსახურების საბაზრო ღირებულება მოგების გადასახადით.

შესაბამისად უნდა განვასხვავოთ საწარმოს მიერ საქველმოქმედო ორგანიზაციისთვის გადაცემული თანხით მიღებული საგადასახადო შეღავათი და ქონების უსასყიდლოდ გადაცემით ან მომსახურების უსასყიდლოდ გაწევით მიღებული შეღავათი. იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმო თანხას გადასცემს ეს მას მიწოდებად არ ეთვლება შესაბამისად მას არ მოუწევს სანაცვლოდ რაიმეს ასახვა ერთობლივ შემოსავალში. თანხის გაცემა საწარმოსთვის ჩვეულებრივი ხარჯია, რომელიც მან უნდა აღრიცხოს როგორც ხარჯი. როგორც წესი ეკონომიკური საქმიანობის დროს ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვითება მხოლოდ ის ხარჯი, რომელიც ამ შემოსავლის მიღებასთან არის დაკავშირებული. სხვა ხარჯის გამოქვითვა არ შეიძლება კანონით. მაგრამ 117–ე მუხლის არსი სწორედ ის არის, რომ მიუხედავად იმისა რომ საქველმოქმედო ორგანიზაციაზე გაცემული თანხა არ არის ის ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია ერთობლივ შემოსავალთან, საწარმოს მაინც შეუძლია ის განიხილოს და აღრიცხოს როგორც ხარჯი და გამოქვითო ერთობლივი შემოსავლიდან. ანუ ამ შემთხვევაში საწარმო მოგების გადასახადს იმცირებს. ხოლო ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილ მაგალითში, საწარმო როცა უსასყიდლოდ გადასცემს ქონებას ან გაუწევს მომსახურებას, მოგების გადასახადს არ იმცირებს, არამედ თავისუფლდება მოგების გადასახადისაგან იმ სხვაობისთვის რაც შეიძლება წარმოიქმნას უფასოდ გადაცემული ქონების ან გაწეული მომსახურების ხარჯებსა და საბაზრო ღირებულებას შორის.

ამ მუხლის ნაწილი, რომელიც უსასყიდლოდ გადაცემული ქონების ან გაწეული მომასხურების საბაზრო ღირებულების გამოქვითვის საშუალებას იძლევა, საკმაოდ მნიშვნელოვანი დანაწესია, რამეთუ პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა საწარმოები საქველმოქმედო ორგანიზაციებს გადასცემენ სხვადასხვა საქონელს (საკვები პროდუქტები, პირველადი მოხმარების ნივთები, საყოფაცხოვრებო ტექნიკა და ა.შ.), აგრეთვე, ხშირად ხდება უსასყიდლო მომსახურების გაწევა საქველმოქმედო ორგანიზაციისთვის, (უფასო იურიდიული კონსულტაცია, საკონფერენციო დარბაზის მომსახურება და ა.შ.).თავის მხრივ, ეს მუხლი არ აკონკრეტებს იმას, თუ რა ფორმით შეიძლება გადაეცეს თანხა საქველმოქმედო ორგანიზაციას, რისთვისაც სხვადასხვანაირი ფორმა შეიძლება არსებობდეს, თუმცა, დიდი ალბათობით, აქ ივარაუდება შეწირულობა, რომელსაც ითვალისწინებს კოდექსის 99–ე მუხლი. თავის მხრივ ამ ტერმინს განმარტავს კოდექსის მე–8 მუხლის მე–40 ნაწილი, რომელიც ამბობს, რომ: შემოწირულობა არის ორგანიზაციის მიერ უსასყიდლოდ მიღებული

საქონელი/მომსახურება, მათ შორის, ფულადი სახსრები.[18]საწარმოს არ აქვს უფლება რომ საქველმოქმედო ორგანიზაციაზე გრანტის სახით გასცეს თანხა.[19]თეორიულად შეიძლება საწარმო იყოს საწევროს გადამხდელი, თუმცა არალოგიკურია რომ ამ მუხლის მიერ ნახსენებ „გაცემულ თანხაში“ მოვიაზროთ საწევრო გადასახადი.ამ მუხლის მიზნებისთვის „გაცემული თანხა“ გულისხმობს თანხის ისეთ გაცემას, რომლის ვალდებულებაც საწარმოს არ აქვს და ამას აკეთებს უანგაროდ, საზოგადოებისთვის სასარგებლო მიზნებისთვის. საწევრო შენატანი, თავისი ბუნებით, ვალდებულების შესრულებაა და არა თანხის უანგაროდ გაცემა. თავის მხრივ ტერმინი „საქონელი“ კოდექსის მე–13 მუხლის 1–ლი ნაწილის მიხედვით არის „მატერიალური ან არამატერიალური ქონება, მათ შორის, ელექტრო და თბოენერგია, გაზი და წყალი.“ მატერიალური ქონება შეიძლება იყოს უძრავი და მოძრავი ქონება (თუმცა უძრავი ქონების გადაცემაზე 117–ე მუხლზე არ ვრცელდება), ხოლო არამატერიალური ქონება შეიძლება იყოს მაგალითად წილი საწარმოში, მოთხოვნის უფლება და ა.შ.

საწარმოს დამოუკიდებლად შეუძლია საქველმოქმედო საქმიანობა განახორციელოს. მას შეუძლია ინდივიდუალურად, შუამავლების გარეშე, დაეხმაროს სოციალურად დაუცველ ადამიანებს, დაუფინანსოს ძვირადღირებული მკურნალობა, ან გასწიოს სხვა ტიპის ქველმოქმედება, მაგრამ ამ შემთხვევაში ის ვერ ისარგებლებს შეღავათით. მას არ შეეძლება ამ თანხის გამოქვითვის გზით მიიღოს შეღავათი. ეს მუხლი მოტივაციას უზრდის საწარმოებს, რომ სწორედ საქველქმოქმედო ორგანიზაციის მეშვეობით განახორციელონ ქველმოქმედება, რაც ხელს შეუწყობს თავად ამ საქველმოქმედო ორგანიზაციების განვითარებას და მეორეს მხრივ, მომგებიანი იქნება საწარმოსთვის. თუ კი მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ პრაქტიკიდან გამომდინარე, ქველმოქმედებისთვის გაწეული ხარჯები საკმაოდ სოლიდურია, საწარმოსთვის ურიგო არ იქნებოდა ამ შეღავათებით სარგებლობა და მოგების გადასახადის სოლიდურადშემცირებას.

საყურადღებოა 117–ე მუხლის დათქმა, რომლის მიხედვითაც, საწარმოს მიერ საქველმოქმედო ორგანიზაციებზე გაცემული თანხა არ უნდა აღემატებოდეს ერთობლივი შემოსავლიდან კოდექსით დადგენილი გამოქვითვების შედეგად დარჩენილი თანხის 10%–ს.

**მაგალითი:** საწარმოს ერთობლივი შემოსავალი შეადგენს 100 000 ლარს, ხოლო კოდექსით დადგენილი გამოქვითული თანხა (გარდა საქველმოქმედო ორგანიზაციისთვის გაცემული თანხისა) შეადგენს 40 000 ლარს. გამოდის, რომ მოგება შეადგენს 60 000 ლარს. ამ შემთხვევაში, საქველმოქმედო

[18]იქვე, მე–8 მუხლის მე–40 ნაწილი

[19]საქართველოს კანონი „გრანტების შესახებ“, მე–3 მუხლი

ორგანიზაციებისთვის გაცემული თანხა არ უნდა აღემატებოდეს, 60 000 ლარის 10%–ს, ანუ 6000 ლარს. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში საწარმო/მეწარმე ისარგებლებს ამ შეღავათით და შეძლებს, რომ 6000 ლარი ასევე მიაკუთვნოს გამოსაქვით 40 000 ლარს და მოგების გადასახადით დაბეგროს მხოლოდ 54 000 ლარი. კოდექსი მკაცრად ადგენს, რომ შეღავათი ვრცელდება მხოლოდ დასაბეგრი მოგების 10 %–ზე(117-ე მუხლით გათვალისწინებული გამოქვითვის გარეშე).თუკი საწარმო/ან მეწარმე ფიზიკური პირი გადააჭარბებს ამ ზღვარს და საქველმოქმედო ორგანიზაციას გადასცემს გამოქვითვების შედეგად დარჩენილი თანხის 15%–ს, მაშინ ჩვეულებრივად შეღავათი გავრცელდება მხოლოდ თანხის 10%–ზე, დანარჩენი თანხა (5%) ჩვეულებრივი რეგულირების ქვეშ მოექცევა.

გარდა საგადასახადო კოდექსისა, ამ საკითხის სამართლებრივ რეგულირებაში მნიშვნელოვანი დოკუმენტია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N996 ბრძანება „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“. ბრძანების მე–40 მუხლი განსაზღვრავს მოგების გადასახადის დეკლარაციის საგადასახადო ორგანოში წარდგენის წესს, რომლის მიხედვითაც გადასახადის გადამხდელი ავსებს შემდეგ ფორმულარს.

| ნაწილი III მოგების გადასახადის გაანგარიშება ლარი | | | | |
|---|---|---|---|---|
| ერთობლივი შემოსავალი | | 16 | | |
| საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები | 17 | | | |
| საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები | | 18 | | |
| გამოქვითვები მათ შორის: | 19 | | | |
| –გამოქვითვას დაქვემდებარებული სასაქონლო –მატერიალური ფასეულობები (გარდა კაპიტალიზირებადისა) | 20 | | | |
| – ელ-ენერგია | 21 | | | |
| – გაცემული ხელფასი | 22 | | | |
| –კრედიტისათვის (სესხისათვის) გადახდილი ან გადასახდელი პროცენტები | 23 | | | |
| –უიმედო ვალები | 24 | | | |
| –საამორტიზაციო ანარიცხები | 25 | | | |
| –სრულად გამოქვითული 1000 ლარამდე ღირებულების ძირითადი საშუალებები | 26 | | | |
| –სრულად გამოქვითული ძირითადი საშუალების ღირებულება (ს.კ. 112) მათ შორის: | 27 | | | |
| –ძირითადი საშუალების რემონტის ხარჯი | 28 | | | |
| –სხვა გამოქვითვები | 29 | | | |
| ჯამი | | 30 | 31 | |
| ერთობლივი შემოსავალის გადამეტება გამოქვითვებზე | | | 32 | |
| გამოქვითვების გადამეტება ერთობლივ შემოსავალზე | | 33 | | |
| დაბეგვრისაგან გათავისუფლებული მოგება (შემოსავალი) | | 34 | | |
| წინა წლების ზარალი | | 35 | | |
| დასაბეგრი მოგება | | | 36 | |
| მოგების გადასახადი 36-ე უჯრის მიხედვით | | | 37 | |
| საქართველოში გადახდის წყაროსთან დაკავებული მოგების გადასახადი | | 38 | | |
| უცხოეთში (საქართველოს ფარგლებს გარეთ) გადახდილი მოგების გადასახადი | | 39 | | |
| კუთვნილი მოგების გადასახადი | | | 40 | |
| დაბრუნებას დაქვემდებარებული გადასახადი | | 41 | | |
| კაპიტალიზებადი ხარჯი | 42 | | | |

ბრძანების 41–ე მუხლის, მე–5 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით მოგების გადასახადით დაბეგვრისაგან გათავისუფლებული მოგება (შემოსავალი), აგრეთვე გამოქვითვას დაქვემდებარებულ საქველმოქმედო ორგანიზაციებზე გაცემული შეწირულობის თანხები შეიტანება მოცემული ფორმულარის 34–ე უჯრაში.
ამავე ბრძანების 42–ე მუხლი იმავე წესით გვაძლევს ფორმულარს, რომლის მიხედვითაც ამხანაგობებს შეუძლიათ იგივე შეღავათებით სარგებლობა. საგადასახადო კოდექსის 117–ე მუხლი, ამ შეღავათებს ავრცელებს საწარმოზე და მეწარმე ფიზიკურ პირზე. კოდექსის 21–ე მუხლის 1–ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით კი ამხანაგობები, რომლებიც არ არიან რეგისტრირებული როგორც სამეწარმეო იურიდიული პირი, ასევე მიიჩნევიან საწარმოებად.

## 4.2 საქველმოქმედო ორგანიზაციების გათავისუფლება მოგების გადასახადისგან

მეორე მნიშვნელოვანი მუხლი, რომელიც საქველმოქმედო ორგანიზაციათა და სუბიექტთა ურთიერთობის დროს ითვალისწინებს შეღავათს, არის საგადასახადო კოდექსის 99–ე მუხლი. აღნიშნული მუხლის თანახმად, ორგანიზაციის მიერ მიღებული გრანტები, საწევრო შენატანები და შემოწირულებები თავისუფლდება მოგების გადასახადით დაბეგვრისგან.
მუხლში საუბარია ზოგადად ორგანიზაციებზე და არ არის დაკონკრეტებული საქველმოქმედო ორგანიზაცია. თუმცა ლოგიკურად იგულისხმება მათში საქველმოქმედო ორგანიზაციაც, რამეთუ იგი ორგანიზაციების ერთ–ერთი ქვეტიპია და თავისთავად ის შეღავათი, რაც კოდექსმა ორგანიზაციებს დაუწესა, ავტომატურად მოიცავს საქველმოქმედო ორგანიზაციებსაც. ეს მუხლი განსახილველ თემასთან მნიშვნელოვან კავშირშია იმდენად, რამდენადაც საწარმოების მიერ საქველმოქმედო ორგანიზაციაზე გაცემული შემოწირულობა არ იბეგრება მოგების გადასახადით. აღნიშნული მუხლი მეწარმეების მიერ საქველმოქმედო ორგანიზაციების დახმარებას კიდევ უფრო ეფექტურს ხდის. თუკი, მაგალითად, საწარმოს სურს რომ 100 000 ლარით დაეხმაროს საქველმოქმედო ორგანიზაციას,მან იცის, რომ საქველმოქმედო ორგანიზაციას ამ მუხლის მიხედვით შეწირულობა არ ებეგრება მოგების გადასახადით და ამისათვის საწარმომ უნდა გამოყოს ზუსტად 100 000 ლარი. ამ შეღავათის არარსებობის შემთხვევაში მეწარმე სუბიექტს უფრო ძვირი დაუჯდებოდა დახმარების გაწევა, რადგან მას მოუწევდა 15% მოგების გადასახადის გათვალისწინება, რაც დაუჯდებოდა 117 647 ლარი, რასაც გამოაკლდებოდა მოგების გადასახადი 15 % და საქველმოქმედო ორგანიზაცია მიიღებდა 100 000 ლარს. როგორც ვხედავთ, საკმაოდ მნიშვნელოვანი ფინანსური შეღავათია დადგენილი ამ ნორმით.

რასაც ემატება 117–ე მუხლით დადგენილი შეღავათი, კერძოდ ეს შემოწირულობა მეწარმე სუბიექტს შეუძლია გამოქვითოს ერთობლივი შემოსავლიდან. ამიტომ მნიშვნელოვანია საწარმოებმა კარგად იცოდნენ, რა იგულისხმება შეწირულობაში, რომელსაც ახსენებს 99–ე მუხლი.
რაც შეეხება გრანტს, მას არეგულირებს საქართველოს კანონი „გრანტების შესახებ". კანონის მე–3 მუხლის პირველი ნაწილი აკეთებს იმ სუბიექტთა ჩამონათვალს, რომელიც შეიძლება იყოს გრანტის გამცემი. ამ ჩამონათვალში საწარმო არ არის მოხსენიებული. საწევრო შენატანზე ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. საწარმო შეიძლება იყოს საწევროს გადამხდელი, მაგრამ საწევროს გადახდის დროს იგი ვერ ისარგებლებს კოდექსის 117–ე მუხლის შეღავათით.

### 4.3 საქველმოქმედო ორგანიზაციების მიერ ფიზიკურ პირებზე გაცემული ქონების განთავისუფლება საშემოსავლო გადასახადისგან

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82–ე მუხლის 1–ლი ნაწილის „წ" პუნქტი საშემოსავლო გადასახადის გადახდისაგან ათავისუფლებს საქველმოქმედო ორგანიზაციის მიერ უსასყიდლოდ გადაცემულ ქონებას იმ ფიზიკურ პირზე, რომელიც:

- დადგენილი წესით რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და იღებს საარსებო შემწეობას, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით;
- დასახიჩრდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში;
- არის ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული პირის ოჯახის წევრი.[20]

ამ მუხლით გათვალისწინებული შემთხვევის დროს საწარმოებს საქველმოქმედო ორგანიზაციებთან ურთიერთობის დამყარებისას უწესდებათ მნიშვნელოვანი შეღავათი. მაგალითად, საწარმოს სურს დაეხმაროს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დასახიჩრებულ პირს, კერძოდ კი, დაუფინანსოს მას საზღვარგარეთ მკურნალობა რისი ღირებულებაც შეადგენს 100 000 ლარს. ამ მიზნის მისაღწევად მას რამდენიმე შესაძლებლობა აქვს. მას, რა თქმა უნდა, შეუძლია დამოუკიდებლად, მესამე პირის გარეშე დაეხმაროს ასეთ პირს. ამ შემთხვევაში პირისათვის გადაცემული ქონება, დაიბეგრება 20%–იანი საშემოსავლო გადასახადით, რაც ნიშნავს იმას, რომ საწარმოს მიერ გაცემული თანხა სრულად არ მიაღწევს ადრესატამდე. ან თუკი მეწარმეს სურს, რომ კონკრეტული რაოდენობის

[20]საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 82–ე მუხლის 1–ლი ნაწილის „წ" პუნქტი

თანხა სრულად მივიდეს ადრესატამდე, მას მოუწევს ზედმეტი თანხის გადახდა, რომლისგანაც 20% საშემოსავლოს გადახდის შემდეგ ადრესატს დარჩება ზუსტად ის თანხა, რაც მას სჭირდება. ჩვენს მაგალითში, ფიზიკურ პირს სჭირდება 100 000 ლარი მკურნალობისთვის. ამიტომ საწარმოს მოუწევს 125 000 ლარის გადახდა, რომლისგანაც 20 % – ის გამოქვითვის შემდეგ, ფიზიკურ პირამდე მივა ზუსტად 100 000 ლარი. მეორე და უფრო ეფექტური გზა მოცემულია კოდექსის 82–ე მუხლით, კერძოდ კი ამ შემთხვევაში მეწარმე სუბიექტს შეუძლია ეს 100 000 ლარი შეწირულობის სახით გადასცეს საქველმოქმედო ორგანიზაციას. 99–ე მუხლის მიხედვით საქველმოქმედო ორგანიზაციას ეს თანხა არ დაებეგრება მოგების გადასახადით და ამავე დროს კოდექსის 117–ე მუხლის მიხედვით მეწარმეს შეეძლება ამ თანხის გამოქვითვა ერთობლივი შემოსავლებიდან. ხოლო 82–ე მუხლის 1–ლი ნაწილის „წ“ ქვეპუნქტის მიხედვით საქველმოქმედო ორგანიზაციის მიერ ფიზიკური პირისათვის გადაცემული თანხა ფიზიკურ პირს არ ებეგრება საშემოსავლო გადასახადით. როგორც ვხედავთ, საწარმოს შეუძლია უფრო ეფექტურად განახორციელოს ქველმოქმედება, თუკი მას განახორციელებს არა დამოუკიებლად, არამედ საქველმოქმედო ორგანიზაციების შუამავლობით. ამ გზით ერთის მხრივ ძლიერდებიან საქველმოქმედო ორგანიზაციები, მეორეს მხრივ შეღავათს ღებულობს საწარმო და რაც მთავარია, სრულყოფილ დახმარებას იღებს ის პირი, რომელსაც ეს სჭირდება.

82–ე მუხლის დანაწესი კონკრეტულ ჩამონათვალს აკეთებს, შესაბამისად, სხვა ფიზიკურ პირებზე ეს შეღავათი არ ვრცელდება.

რა თქმა უნდა, საქველმოქმედო ორგანიზაციების საქმიანობის სფერო გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე 82–ე მუხლის 1–ლი ნაწილის „წ“ პუნქტში არსებული ჩამონათვალი და საწარმოებს შეუძლიათ შეზღუდვების გარეშე, დამოუკიდებლად განახორციელონ საქველმოქმედო საქმიანობა, მაგრამ თუკი ისინიამას განახორციელებენ ზემოთ მოყვანილი მუხლებისა და მაგალითების მიხედვით, მაშინ მათი დახმარება უფრო ეფექტური იქნება და ამავე დროს მომგებიანი. თუკი მეწარმე სუბიექტი ქველმოქმედების განხორციელებას გადაწყვეტს შეწირულობის ფორმით, მაშინ მას შეუძლია ისარგებლოს 117–ე მუხლის შეღავათით. ამავე დროს, მის მიერ შეწირული თანხა დაბეგვრის გარეშე მოხვდება საქველმოქმედო ორგანიზაციების ხელში, რომლებიც შეძლებენ ამ თანხის გამოყენებას სხვადასხვა ან კონკრეტული საქველმოქმედო მიზნისთვის.

## 5. საქველმოქმედო ორგანიზაციების ჩამონათვალი და ინფორმაცია მათი საქმიანობის შესახებ

საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, შემოსავლების სამსახური ვალდებულია, აწარმოოს საქველმოქმედო ორგანიზაციების ერთიანი რეესტრი. რეესტრში შეიტანება შემდეგი მონაცემები:[21]

- საქველმოქმედო ორგანიზაციის სახელწოდება;
- საქველმოქმედო ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოს, ფილიალებისა და წარმომადგენლობების მისამართები;
- ორგანიზაციის ძირითადი მიზნები;
- სტატუსის მინიჭების თარიღი და ნომერი;
- მმართველობის უმაღლესი ორგანოს ყველა წევრის ვინაობა და მისამართები.

საქველმოქმედო ორგანიზაციების რეესტრში შეტანილი ნებისმიერი მონაცემის ცვლილების შემთხვევაში ორგანიზაცია ვალდებულია,დაყოვნებლივ წერილობით აცნობოს შესაბამის საგადასახადო ორგანოს ამ ცვლილების შესახებ.საქველმოქმედო ორგანიზაციების ერთიანი რეესტრი განთავსებულია შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ ვებ–გვერდზე,საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.[22] იგი მოიცავს კანონით დადგენილ ყველა ინფორმაციას საქველმოქმედო ორგანიზაციების შესახებ.

ქვემოთ მოცემულია საქველმოქმედო ორგანიზაციათა ჩამონათვალი და მათი საქმიანობის სფერო, იმ მონაცემების მიხედვით რაც განთავსებულია შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ ვებ გვერდზე.

[21]საქართველოს საგადასახადო კოდექსის 32-ე მუხლის მე–17 ნაწილი
[22]იქვე, 32–ე მუხლი მე–19 ნაწილი

| ორგანიზაციისდასახელება | იურიდიული/ ფაქტიური მისამართი | საკონტაქტო ტელ: | საკონტაქტო მეილი: | ვებ-გვერდი | წარმომადგენლობა რეგიონებში | დირექტორი/ დამფუძნებელი | ძირითადიმიმართულებები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ა.ა.ი.პ. დოსტაქარი | საჩხერე, გომართელის 17 | (995 595)22 20 22 | dostakari@mail.ru | www.sachkheremc.org | ოზურგეთის რ-ნი, ლეკიანის სამედიცინო კლინიკა; ხარაგაულის რ-ნი, ბორითის სამედიცინო კლინიკა. | გიორგი გუდაძე | სტაციონარული და ამბულატორიული სამედიცინო მომსახურება. |
| ა.ა.ი.პ. დიაბეტიან ბავშვთა დაცვის ასოციაცია | ქ.თბილისი ქავთარაძის 27 | (995 32) 2 18 98 00 | d.chpa@hotmail.com | www.dchpa.ge | | პრეზიდენტი: კობა ამირხანაშვილი | დიაბეტიან ბავშვთა სამედიცინო მომსახურება |
| ა.ა.ი.პ. "იმედის ექოსთან არსებული მარტოხელა ხანდაზმულთა პანსიონატი" | ქ. რუსთავი. VIII მ/რ. № 34 ბაგა-ბაღის შენობა | (995 0341) 25 06 10<br>(995 555) 58 22 10<br>(995 559) 36 03 24 | Imedis.eqo@mail.ru | | | ნელი დარაშვილი | მარტოხელა ხანდაზმულთა მოვლა–პატრონობა |
| ა.ი.პ. საქველმოქმედო ფონდი „საქართველოს კარიტასი" | ნუცუბიძის II პლატო, 3 ა | (995 32) 2 25 01 93;<br>(995 32) 2 25 13 87;<br>(995 32) 2 21 78 19; | caritas-georgia@caritas.ge | www.caritas.ge | | დირექტორი: მამა კშიშტოვ კოვალი | ქველმოქმედება |
| ასოციაცია საქართველოს | ქ.თბილისი,ალ. ყაზბეგის | (995 32) 2 20 42 83 | contact@sos-kd.ge | www.sos-childrensvill | ქუთაისი | ეროვნული დირექტორი: | მიტოვების რისკის წინაშე მყოფ და |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი** | №11ა | | | ages.ge | | ზვიად ბერძენიშვილი | მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა უფლებები დაცვა; სოციალურად დაუცველი ბავშვების დახმარება, მათი სრულფასოვან პიროვნებებად ფორმირების ხელშეწყობისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით. |
| **ამაგდარი საზოგადოება ყველა ასაკისთვის** | ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ბალანჩივაძის 40. | (995 599) 94 54 98 | nini@ip.osgf.ge | | | | დაბერებასთან დაკავშირებული პრობლემები. თაობათა შორის ურთიერთობის განვითარების ხელშეწყობა |
| **ბათუმის წმინდა ეკატერინეს სახელობის სათნოების სავანე** | ქ. ბათუმი, შ. ხიმშიაშვილის 39 | (995 0422) 24 40 81<br>(995 577) 53 67 53 | giorgi.shainidze@mail.ru | | | დირექტორი: დეკანოზი შიო პაიჭაძე | უპოვართა და მზრუნველობა მოკლებულ მოხუცთა მოვლა-პატრონობა |
| **ბავშვი და გარემო** | ქ. თბილისი, აბასთუმნის #4 | (995 577) 40 54 03 | bavshvi@caucasus.net<br><br>bavshvidagaremo@yahoo.com | www.childandenvironment.org.ge | | ნანა იაშვილი | სოციალურად დაუცველი ბავშვები; მცირე საოჯახო ტიპის სახლები სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის; ინტეგრირებული ცენტრი შშმ ბავშვებისთვის |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **განათლების, კულტურისა და სულიერების აღორძინების საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი** | ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 49-ა | (995 32) 2 25 10 74 | fundkhobi@yahoo.com | www.fundkhobi.ge | | **პრეზიდენტი: გოდერძი ბუკია. აღმასრულებელი დირექტორი : მარიამ მიქაძე** | **ქველმოქმედება განათლების, კულტურისა და სულიერების მიმართულებით ძირითადად ხობის რაიონში** |
| **დიდი ბრიტანეთის საქველმოქმედო ოქსფამის საქართველოს წარმომადგენლობა** | ქ. თბილისი, ფალიაშვილის ქ. #47ა | (995 577) 58 28 80 | ngvianishvili@oxfam.org.uk | | | | საქველმოქმედო საქმეების წარმოება და სიღარიბის შემცირება |
| **ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი** | ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი # 29/31/33 | (995 32) 2 25 27 82<br>(995 32) 2 25 27 63 | info@epfound.ge | www.epfound.org | | დირექტორი: ქეთევან ვაშაკიძე, დამფუძნებელი : ჯორჯ ზარუბინი | სამოქალაქო საზოგადოება და დემოკრატია; თვითმმართველობა; თემის განვითარება; სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა. |
| **იავნანა** | ქ. თბილისი, პეკინის ქ. #28 | (995 32) 2 37 46 84 | info@iavnana.ge | www.iavnana.ge | | პაატა ბურჭულაძე/ გურამ ახალაია | კულტურა; სოციალური საკითხები; დევნილები და ლტოლვილები; ობოლ ბავშვთa დახმარება. |
| **იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია თანხმობა** | ქ.თბილისი, თამარ მეფის გამზ. #20 | (995 32) 2 34 49 82 | | www.idpw.org | ბათუმი, გორი | იულია ხარაშვილი | ქალებისა და ახალგაზრდების არაფორმალური განათლება; მშვიდობის აღმშენებლობა; |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ლადო ათანელის სახელობის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი "თანადგომა" | ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი. ნ. ნიკოლაძის 3 | (995 32) 2 98 92 85<br>(995 599) 71 10 40 | cicojaparidze@yahoo.com | www.atanelifond.ge/web_LADO/index_Ataneli_Biografia.htm | | ციცო ჯაფარიძე | კულტურა |
| საერთაშორისო ჰუმანიტარული კავშირი„კათარზისი“ | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი # 121 | (995 32) 2 95 16 46 | Catharsis-1@mail.ru | www.Catharsis.ge | ზესტაფონი, საჩხერე, ახალციხე, თერჯოლა | ზაურ–ოლეგ ალადაშვილი | ქველმოქმედება |
| საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ | ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. №7, ბინა №21 | (995 32) 2 99 68 40<br>(995 599) 50 31 31 | georgianwomen@yahoo.com; | | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, შიდა ქართლი; კახეთი. | თავმჯდომარე: მაია კვეზერელი-კოპაძე | საქველმოქმედო საქმიანობა: სოციალურად დაუცველი მოქალაქეების დახმარება; მედიკამენტებით, ინვალიდის ეტლებით, ექიმთა მობილური ბრიგადებით სხვადასხვა რაიონის მოსახლეობის მომსახურება. |
| საქართველოს ამერიკელი მეგობრები | | (995 32) 2 39 71 74<br>(995 32) 2 39 71 74 | lenakiladze@hotmail.com | www.afgeorgia.org | | | ქველმოქმედება; სიღარიბის შემცირება |
| საქართველოს ებრაელთა საქველმოქმედო ცენტრი "ხესედი ელიაჰუ" | ქ. თბილისი, ვახტანგ VI ქ. 30 | (995 32) 2 77 08 33 | | | | | საქველმოქმედო საქმიანობის წარმოება |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი** | ქ. თბილისი, ვაჟა ფშველას 1 შესახვევი 1/43 | (995 32) 2 32 41 58; (995 32) 2 32 36 35; (995 599) 50 39 82; (995 595) 39 00 19; | rmshvidobadze@mail.ru | | | თავმჯდომარე: რ. მშვიდობაძე | ქველმოქმედება ენერგეტიკის ვეტერანებზე |
| **საქველმოქმედო კავშირი "თემი"** | ყვარლის რაიონი, სოფელი გრემი | (995 599) 92 76 23 | www.contact@temi-community.org | www.temi-community.org | | ნიკოლოზ კვაშალი | თვითმმართველობა, თემის განვითარება, ადამიანის უფლებები, ახალგაზრდული , ბავშვთა და სოციალური საკითხები |
| **საქველმოქმედო ფონდი "ავერსი"** | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის 148ა | (995 32) 2 91 10 72 | keti.nemsadze@aversi.ge | http://www.aversi.ge/news.php?news_id=260&type=2&lang=geo#2012/1 | | დამფუძნებელი - პაატა კურტანიძე; დირექტორი - ქეთევან ნემსაძე; | მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება; ინვალიდების, ავადმყოფების,ბავშვთა სახლების,მოხუცებულთა სახლების,სამედიცინო საწესებულებების,საქველმოქმედო ორგანიზაციების,რელიგიური ორგანიზაციების და სხვა დახმარება. |
| **საქართველოს ონკოჰემატოლოგიური პაციენტების მშობელთა კავშირი** | ქ. თბილისი, ვაჟა–ფშველას მე–4 კვარტალი, მე–20 კორპ. ბინა #13 | (995 32) 2 32 26 47 | info@leucaemia.ge | alioni700526.wordpress.com | | მარინა გოგიჩაიშვილი | ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებზე ზრუნვა |
| **საქართველოს უსინათლოთა კავშირი** | ქ. თბილისი, ბ. კალანდაძის #3 | (995 32) 2 45 75 12 (995 32) 2 72 15 11 | unblge@hotmail.com | www.gbu.ge | ბათუმი, ბოლნისი, გორი, გურია, დმანისი, ზესტაფონ | თავმჯდომარე: ფრიდონ ლობჟანიძე | უსინათლო მოქალაქეების გამოვლენა და მათი შრომითი, სამედიცინო, ინტელექტუალური, სოც. ფსიქოლოგიური |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | ი, ზუგდიდი, კახეთი, მცხეთა, რუსთავი, სამცხე-ჯავახეთი, სენაკი, ფოთი, ქობულეთი, ქუთაისი, ჭიათურა. | | რეაბილიტაცია, სამართლებრივი და სოც. დაცვა, ზნეობრიცი სრულყოფა, კულტ. საყოფაც. მომსახურეობა |
| **საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი“** | საქართველო, ქუთაისი 4600, ტ. ტაბიძის ქ. #29 | (995 32) 2 33 23 97 | pr@chca.org.ge | www.chca.org.ge | გორი; ქუთაისი; ზუგდიდი. | ეკა გვალია | ქველმოქმედებისა და დაცვის მონიტორინგი; ეკონომიკური განვითარება; თემის მონაწილეობა; ბავშვთა და ახალგაზრდობის დაცვა და განვითარება; |
| **სიღარიბის დაძლევისა და გადაუდებელ დახმარებათა ფონდი ქველმოქმედთა სახლი „მომავლის გზა“** | იურიდიული: ქ.თბილისი ვაჟა ფშაველას ქ.#16 ფაქტიური: ქ. თბილისი ყიფშიძის ქ.#9ა | (995 32) 2 22 87 22 (995 593) 50 24 02 | Davitgza@gmail.com | www.Momavlisgza.ge | აბაშა | თავმჯდომარე: დავით კინწურაშვილი<br><br>თანათავმჯდომარე: ნინელი ჭანკვეტაძე | საქველმოქმედო საქმიანობა, მზრუნველობა მოკლებულ ბავშვთა სახლი, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება. |
| **სოციალური პედიატრიის** | თბილისი, ლუბლიანას ქ. | (995 32) 2 32 68 16 | info@sppf.info | www.sppf.info | იმერეთი, გურია. | გიორგი ჩახუნაშვილი | დედათა, ბავშვთა და მოზარდთა |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **დაცვის ფონდი** | #21 | | | | კახეთი, ქვემო ქართლი, სამეგრელო. | | სოციალური უფლებების დაცვა და მათ ჯანმრთელობაზე ზრუნვა |
| **ფონდი ერთგულება** | ქ. თბლისი,ვაკე-საბურთალო მარშალ გელოვანის 2. | (995 577) 78 56 13<br><br>(995 32) 2 93 43 43 | n.malashkia@gegenava.ge | | | | საქართველოში ეკლესია მონასტრების მშენებლობისა და აღდგენა-რეკონსტრუქციის დაფინანსება, უმწოეთა და მზრუნველობა მოკლებულ პირთა დახმარება, უნარშეზღუდულ და მზრუნველობა მოკლებულ ბავშვთა დახმარება. ხელოვნების, მეცნიერების სპორტისა და კულტურის განვითარების მხარად. |
| **ფრიდრიხ ებერტის ფონდის წარმომადგენლობა საქართველოში** | ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. #4, ბ.7 | (995 32) 2 91 26 15 | stiftung@fesgeo.org.ge | www.fes.ge | | ია თიკანაძე | სამოქალაქო საზოგადოება და დემოკრატია; სოციალური საკითხები; კონფლიქტების მოგვარება; პროფესიული კავშირები. |
| **პირველი ნაბიჯი საქართველო** | ქ. თბილისი აღმაშენებლის 154/ ლუბლიანას | (995 32) 2 60 36 04; (995 32) 2 60 36 24 | fsg@firststepgeorgia.org | www.firststepgeorgia.org | ქ.ქუთაისი, ხარებავას ქუჩა N 41 | დირექტორი: მაგული შაღაშვილი; დამფუძნებლ | შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა და მოზარდთა სხვადასხვა |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ქუჩა N 21 ბ | | | | (ავტოქარხნის დასახლება); ქ.ბათუმი, თამარის დასახლება, II–ე ჩიხი, 22–ე ბაღის შენობა. | ები:ჯეინ ქორბოი, ნინო ქადაგიძე–ჟვანია | სარეაბილიტაციო და საგანმანათლებლო პროგრამები |
| **შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარებისა და დახელოვნების ლიგა** | ქ. ქუთაისი, ავტომშენებლის 1 შესახვევი #3/18 | (995 593) 09 20 92 | unarshezguduli@gmail.com | | | დამფუძნებული: ხვიჩა სიმონია თავმჯდომარე: ბელა სიმონია | საქართველოს მასშტაბით შშმ პირების სოციალურ და საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობა; საქველმოქმედო და შემოქმედებითი ღონისძიებების მოწყობა; სოციალური დახმარების გაწევა; საზოგადოებასთან ინტეგრაცია და დასაქმების საკითხებში ხელშეწყობა. |
| **წმ.ნინოს და წმ.ფრანცესკოს საქველმოქმედო ფონდი** | ქ.ბათუმი გოგებაშვილის 74 ბ.49 (ფიზიკური) ქ.ბათუმი ზ.გამსახურდიას 42 (იურიდიული) | (995 32) 27 53 65 | svetlanakudba@rambler.ru | | | სვეტლანა კუდბა | უსახლკაროდ დარჩენილი მარტოხელა დედების, მარტოხელა ხანდაზმულიბისა და სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარება. |